

დეკლარაცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და სასჯელისაბან ყველა პირის დაცვის შესახებ

მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის 1975 წლის 9 დეკემბრის 3452 (XXX) რეზოლუციით

მუხლი I

წინამდებარე დეკლარაციის მიზნებისათვის, ცნება „წამება“ ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომლის საშუალებითაც ადამიანს განზრახ მიეყენება ძლიერი ტკივილი ან ტანჯვა, ფიზიკური თუ ზნეობრივი, ოფიციალური პირის მხრიდან ან მისი წაქეზებით, რათა მისგან ან მესამე პირისაგან მიიღონ ინფორმაცია ან აღიარება, დასაჯონ ეს პირი მისი ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან ისეთი მოქმედებისათვის, რომლის ჩადენაშიც იგი ეჭვმიტანილია, აგრეთვე დააშინონ ან აძულონ ის ან მესამე პირი. განმარტება არ მოიცავს ტკივილსა და ტანჯვას, რომელიც გამომდინარეობს, განუყოფელია ან შემთხვევით გამოიწვევა კანონიერების ფარგლებში პატიმრებთან მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესების შესაბამისად.

წამება წარმოადგენს სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის დამამძიმებელ და წინასწარგანზრახულ სახეს.

მუხლი II

წამება ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი სასჯელი წარმოადგენს ადამიანური ღირსების შეურაცყოფას და მიიჩნევა გაეროს წესდების მიზნების უარყოფად და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით გაცხადებული ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დარღვევად.

მუხლი III

არც ერთმა სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას ან მოითმინოს წამება ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა ან სასჯელი. გამონაკლისი შემთხვევები, როგორებიცაა საომარი მდგომარეობა ან ომის საშიშროება, ქვეყნის შიგნით პოლიტიკური დესტაბილიზაცია ან ნებისმიერი სხვა სახის საგანგებო მდგომარეობა, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს წამების ან სხვა არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის გამართლების საფუძველად.

მუხლი IV

თითოეული სახელმწიფო ვალდებულია, წინამდებარე დეკლარაციის დებულებათა შესაბამისად, მიიღოს ეფექტური ზომები, რათა არ დაუშვას წამება ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა ან სასჯელი თავისი იურისდიქციის ფარგლებში.

მუხლი V

სამართალდამცავი ორგანოების პერსონალის და სხვა ოფიციალური პირების მომზადებამ, რომლებიც შეიძლება პასუხისმგებელი იყვნენ თავისუფლებაადკვეთილ პირებზე, უნდა უზრუნველყოს ისეთი მდგომარეობა, რომ სრულად იქნას გათვალისწინებული წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის აკრძალვა. აუცილებლობის შემთხვევაში, ასეთი აკრძალვა ასევე შეტანილ უნდა იქნეს, ისეთ ზოგად წესებში ან ინსტრუქციებში, რომლებიც ეხება თითოეულის ვალდებულებებსა და ფუნქციებს, ვისაც შეიძლება ურთიერთობა ჰქონდეს ასეთი პირების პატიმრობასთან ან მათთან მოპყრობასთან.

მუხლი VI

თითოეულმა სახელმწიფომ სისტემატურად უნდა განიხილოს დაკითხვის მეთოდები და პრაქტიკა, ასევე მის ტერიტორიაზე თავისუფლებაადკვეთილ პირთა პატიმრობისა და მოპყრობის პირობები, რათა არ დაუშვას წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის შემთხვევები.

მუხლი VII

თითოეულმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც I მუხლში განსაზღვრული წამების ნებისმიერი ქმედება უნდა განიხილებოდეს, როგორც დანაშაული, თავისი სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად. იგივე ეხებათ ქმედებებს, რომლებიც წარმოადგენს წამებაში მონაწილეობას, თანამონაწილეობას, წაქეზებას ან წამების განზრახვის მცდელობას.

მუხლი VIII

ნებისმიერ პირს, რომელიც ირწმუნება, რომ მის მიმართ გამოყენებული იყო წამება ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა ან სასჯელი ოფიციალური პირის მხრიდან ან მისი წაქეზებით, უფლება უნდა ჰქონდეს საჩივარი წარუდგინოს შესაბამისი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს და ასევე, მათი მხრიდან საქმის მიუკერძოებლად განხილვაზე.

მუხლი IX

ყოველთვის, როდესაც არსებობს გონივრული საფუძველი ვარაუდისა, რომ ადგილი ჰქონდა წამებას, როგორც ეს I მუხლშია განსაზღვრული, შესაბამისი სახელმწიფოს კომპეტენტურმა ორგანოებმა დაუყოვნებლივ უნდა დაიწყო საქმის მიუკერძოებელი გამოძიება, საჩივრის ოფიციალურად წარდგენის გარეშე.

მუხლი X

თუ VIII ან IX მუხლის შესაბამისად გამოძიება დაადგენს I მუხლში განსაზღვრული წამების ფაქტის სიცხადეს, ასეთი დამრღვევის ან დამრღვევთა წინააღმდეგ უნდა დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. თუ აღმოჩნდა, რომ ბრალდებები სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის შესახებ საფუძვლიანია, მაშინ დამრღვევის ან დამრღვევთა მიმართ უნდა დაიწყოს სისხლისსამართლებრივი, დისციპლინარული ან სხვა სახის დევნა კანონის შესაბამისად.

მუხლი XI

როდესაც დამტკიცებულია, რომ ადგილი ჰქონდა წამებას ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას ან სასჯელს ოფიციალური პირის მხრიდან ან მისი წაქეზებით, დაზარალებული იღებს ანაზღაურებას ან კომპენსაციას ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი XII

ნებისმიერი განცხადება, რომელიც, თუ დადგინდა, რომ გაკეთდა წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის შედეგად, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მტკიცებულებად პირის წინააღმდეგ, რომელსაც ეხება ნებისმიერი სხვა სასამართლო დევნა ან ნებისმიერი სხვა პირის წინააღმდეგ, რომელიც შეხებაშია სასამართლო დევნასთან.